



ERDAFITINIB - BALVERSA®

რა არის BALVERSA

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ერდაფიტინიბი	მრგვალი ტაბლეტები 3 მგ (ყვითელი), 4 მგ (ნარინჯისფერი) და 5 მგ (ყავისფერი) 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ მგ-იანი კაფსულა, რომელიც უნდა მიიღოთ დღეში ერთხელ, ყოველდღე.

გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, ტაბლეტების დაქუცმაცების.

დაღეჭვის ან გახსნის წყალში გარეშე. მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეშე.

თუ დაგავიწყდათ მიღება: 12 საათის განმავლობაში, შეგიძლიათ მიიღოთ შესაბამისი დოზა. ლებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა. დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთხელ დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეშე	  
უწყვეტლივ	 დ1  დ2  დ3  დ4  დ5  დ6  დ7 ...  დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელით მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია მხოლოდ საავადმყოფოს აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ღვიძლის ფუნქციას და სისხლში ფოსფატების დონეს) და კლინიკურ მეთვალყურეობას (მკურნალობის პირველი 4 თვის განმავლობაში ყოველთვიურად და შემდეგ ყოველ სამ თვეში ერთხელ მიმართეთ ოფთალმოლოგს).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა უნდა გამოიყენოთ კონტრაცეფციის ეფექტური მეთოდები (ეს მკურნალობა შეიძლება საზიანო იყოს არ დაბადებული ბავშვისთვის). თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).



მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

BALVERSA®-ს სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და ა.შ.) შესახებ, რომელსაც იღებთ მაგალითი: მოერიდეთ გრეიპფრუტის წვენის, კრაზანას, წითელი ბრინჯის საფუარის მოხმარებას BALVERSA®-თან ერთად.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	თვალის პრობლემები: მხედველობის დაბინდვა, მხედველობის დაქვეითება, სიმშრალე ბიოლოგიური ანალიზის ანომალიები: სისხლში ფოსფატების მომატებული დონე, კრეატინინის მომატებული დონე, ჰემოგლობინის შემცირება (ანემია), ღვიძლის ანალიზის ანომალიები საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: კუჭის შეკრულობა, გულისრევა, დიარეა, მუცლის ტკივილი, პირის ღრუს ანთება (სტომატიტი), მადის დაკარგვა, გემოს (და ყნოსვის) დარღვევა ან დაკარგვა, წონის მატება ფრჩხილები: პარონიქია (ფრჩხილის ინფექცია), მალფორმაცია, ფერის შეცვლა, ფრჩხილების აძრობა ტკივილი: კუნთები (მიალგია), სახსრები (ართრალგია) კანის დარღვევები: კანის სიმშრალე, ხელისგულების, ფეხის ტერფების და ხახუნისადმი მგრძნობიარე ადგილების ანთება. ზოგადი დარღვევები: დაღლილობა, მადის დაკარგვა, წონის დაკლება
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	თვალის პრობლემები თვალის ტკივილი, ცრემლდენა ან სინითლე, მხედველობის დაბინდვა ან სინათლეზე მგრძნობელობა საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: მნიშვნელოვანი და/ან სწრაფი წონის დაკლების შემთხვევაში. ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტი კუჭში გასვლა ტკივილები პირის ღრუს არეში ან წყლულები, რომლებიც ხელს გიშლით ნორმალურ კვებაში ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში 24 საათის განმავლობაში დაღევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა. კვირაში 3-ზე ნაკლები კუჭში გასვლა კუნთის დარღვევები უჩვეულო და აუხსნელი ტკივილები კუნთებში
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
სტომატოლოგიური ჰიგიენა	გამოიყენეთ რბილი კბილის ჯაგრისი და გამოიყენეთ პირის ღრუს სავლები ნატრიუმის ბიკარბონატით. მოერიდეთ მენტოლის ან ალკოჰოლის შემცველ პირის ღრუს სავლებს
ფრჩხილები	მოერიდეთ ფეხისა და ხელის ფრჩხილების დაზიანებას. არ გამოიყენოთ ლაქი, გარდა იმ (დამცავი) ლაქისა რომელიც გირჩიათ სამედიცინო ჯგუფმა. უპირატესობა მიანიჭეთ ფრჩხილების სწორად და არა ზედმეტად მოკლედ დაჭრას.
კანის მოვლა	ხელებსა და ფეხებზე: წაისვით ხელებსა და ფეხებზე დამატენიანებელი კრემი ან რძე და/ან შემახორცებელი კრემი (ძლიერი შეზღუდვის გარეშე). მოერიდეთ ხელებისა და ფეხების სიცხესთან (ცხელ წყალთან)



	შეხებას. მოერიდეთ აქტივობებს, რომლის დროსაც ხდება ხახუნი ან წარმოიქმნება ქრილობები. ნუ ატარებთ ძალიან მჭიდრო ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელებს. სხეული: უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას.
თვალები	მოერიდეთ საკონტაქტო ლინზების ტარებას. გამოიყენეთ სისტემატურად ხელოვნური ცრემლი (იდეალურად ყოველ 2 საათში ერთხელ აქტივობის პერიოდში) მოერიდეთ დაბალი განათების პირობებში მართვას
დაღლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
კუჭის შეკრულობა	უპირატესობა მიანიჭეთ ბოჭკოვანით გამდიდრებულ დიეტას. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია. მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. არ მიირთვათ უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გემოს შეგრძნების დარღვევები	უპირატესობა მიანიჭეთ თბილ ან ცივ საკვებს პატარა რაციონით რამდენჯერმე დღეში. მოერიდეთ სამზარეულოს მეტალის ქურჭელს.
პირის ღრუს ანთება (წყლულები)	მოერიდეთ მჟავე ან წებოვანი საკვების მიღებას და ძალიან მარილიან საკვებს.
სისხლში ფოსფატის დონის მომატება	ფოსფატის მოხმარების კონტროლი 600-800 მგ-მდე/დღეში (ფოსფორის ძირითადი საკვები წყაროებია: რძე, შოკოლადი, კვერცხი, ზეთოვანი კულტურები, თევზი, სუბპროდუქტები (ძირითადად ღვიძლი), ხორცი და გამაგრებელი სასმელები).